

დოქტორის აკადემიური ხარისხი „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულ დონგჰაკ კიმს

20 ივლისს სტუ-ს ინფორმატიკის და მართვის სიტემების ფაკულტეტზე შედგა „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, აშშ-ს მოქალაქის დონგჰაკ კიმის სადოქტორო დისერტაციის დაცვა. სადისერტაციო კოლეგიის სამსაჯავროზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი იყო სადისერტაციო ნაშრომი „კორონარული ანგიოგრაფიის სასწავლო სისტემა“. ტექნიკური უნივერსიტეტის ამერიკელი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო პროფ. ირინე გოცირიძე.



ჯანდაცვის სფეროში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები წარმოადგენს. დოქტორანტ დონგჰაკ კიმის მიერ დამუშავებული „კორონარული ანგიოგრაფიის სასწავლო სისტემა“ საშუალებას იძლევა, განხორციელდეს კორონარული ანგიოგრაფიის რეალური მანიპულაციების აღწარმოება რეალურ დროით რეჟიმში, შემუშავდეს ამ მანიპულაციების მოქმედების ალგორითმების დახვეწა-დამუშავება. სისტემის გამოყენება სამედიცინო საგანმანათლებლო და პრაქტიკულ სფეროში გაზრდის ექიმების დასწავლის ეფექტურობას ახალი მაღალტექნოლოგიური მეთოდოლოგიით. მიღებული შედეგები პრაქტიკულ გამოყენებას ჰპოვებს კლინიკური საავადმყოფოების, სადიაგნოსტიკო ცენტრების და სამედიცინო უმაღლესი განათლების პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო შედეგების პრაქტიკული რალიზაცია ხელს შეუწყობს საქართველოში ჯანდაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობის გაზრდას.

კოლეგიის წევრებმა, რეცენზენტმა ცნობილმა კარდიოქირურგმა ალექსანდრე ალადაშვილმა (აკად. გ.ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის) ინტერვენციული მედიცინისა და დიაგნოსტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი), რეცენზენტმა პროფ. პაატა კერვალიშვილმა, კოლეგიის მოწვეულმა წევრმა პროფესორმა, მედიცინის დოქტორმა მამანტი როგავამ მაღალი შეფასება მისცეს წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომს და მათი ერთობლივი

გადაწყვეტილებით დოქტორანტ დონგჰაკ კომს მიენიჭა ინჟინერის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

